სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 35 აგვისტო 18 1896 წ. № 35

შინაარსი: ენის წარმოდგომაზე (გერმანულიდან), პ. გ. ქარაიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.— საყურადღებო ამბები.— *** ლექსი განდეგილისა.—ნამდვილათ არის ფერი, თუ არა?.—გიმნაზიის მოწაფე ქალთა მოგზაურობა, წერილი მეორე ელიკოსი.—*** ლექსი ს. პავლიაშვილისა.—საისტორიო მასალა № 3.—მთაო მაღალო (ლექსი პროზათ) თომაანთ კობასი. გლეხნი ზედგინიძენი და მათი თავ-გადასავალი.—„კვალის" ფოსტა და განცხადებანი.—

„კვალის" ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

ენის წარმოდგომაზე.

(Über den Ursprung der Sprache.)

დრ. გ. ს. ზეემანისა.

თარგმნილი გერმანულიდან. *)

სულ სხვა ნაირათ შეუდგა ამ საგნის გამოკვლევას ექიმი კარლ აბელი. ის დარწმუნდა, რომ გამოკვლევას მხოლოთ მაშინ შეუძლია მოგვცეს ნაყოფიერი შედეგი, როცა ის დამყარებულია ნამდვილ ფაქტებზე; ამ მხრით ეგვიპტური ენის შესწავლამ ეს მეცნიერი სულ ახალ გზაზე დააყენა. საზოგადოთ ჰფიქრობდენ, რომ ლაპარაკი თავიდანვე ადვილ-გასაგები უნდა ყოფილიყო; იმან აღნიშნა, რომ ეს შეხედულება სრულებით შემცდარია, რადგანაც ადამიანის სული, რომელიც ყველა სფერაში დიდი ტანჯვა-წვალებით ვითარდება, ენასაც თავდაპირველათ ვერ დაეპატრონებოდა ისეთი სისრულითა, რა სისრულითაც დღეს ამ უკანასკნელს ჩვენ ეხედავთ განვითარებულ ერებში. დიდი ხანია, რაც იცოდენ, რომ ენა ექვემდებარება ზრდისა და დაცემის კანონს, მაგრამ ამასთანავე დარწმუნებულნი იყვენ იმაშიაც, რომ გაგება ერთი და იგივე უნდა დარჩენილიყო ყველა საფეხურზე, რომ, როგორც განათლებულნი ერნი ნათლათ და გარკვევით სჯიან სხვა-და-სხვა ბუნდოვან საგნებზე, ისე ადვილათ და გასაგებათ უნდა ელაპარაკნათ ერთმანეთისთვის განუვითარებელ ადამიანებსაც იმ მარტივ საგნებზე, რომლებზედაც მათ რაიმე წარმოდგენა შეედგინათ; ერთი სიტყვით, გაუგებარი ენა ითვლებოდა Contradictio in adjecto-თ, თავის-თავის წინააღმდეგობათ; მაგრამ დოქ. აბელმა დაამტკიცა, რომ ეს წარმოდგენილი თავის-თავის წინააღმდეგობა—გაუგებარი ენა, არსებობდა თითოეული ენის დასაწყისში.

ეგვიპტური ენა არის ერთათ-ერთი ჩვენამდე მოხწეული ენა, რომლის 4000 წლის წერილობითი

*) იხ. „კვალი" № 34.

ნაშთნი ჩვენამდე დარჩენილან; ამიტომ ჩვენ საშუალება გვეძლევა დაეუკვირდეთ და შეეისწავლოთ მისი განვითარება მთელი ამ 40 საუკუნის სივრცეზე. ჩვენ ხელთ არის ჰიეროგლიფები, 3000 წლით ქრისტეს დაბადებამდე წარმომდგარნი, ჩვენ ცვაქვს კოპტური ნაწერები, შედგენილნი 1000 წლის ქრისტეს შემდეგ და ორიეეს შინაარსი საკმარისია, რომ პირველანდელი ენის ნასახი და იმის თან-და-თანი განვითარება საკმაოთ შეეიგნოთ, ისე, რომ ამისათვის მაინც და მაინც დიდი შრომა არ დაგეჭირდეს. უძველესი ჰიეროგლიფური ეპოქის ეგვიპტურ ენაზე იმდენი აუარებელი ჰომონიმები და სინონიმებია*), რომ ჩვენ დროში ეს იმდენათ გასაკვირალია, რამდენათაც გაუგებარი. დოქ. აბელის გამოკვლევით, ეგვიპტურ სიტყვას „ab“ აქვს რვა სრულიად ერთი-მეორისაგან განსხვავებული მნიშვნელობა, სიტყვას „apt“—ექვსი, სიტყვას „ba“ – აგრეთვე ექვსი, სიტყვას „uet“—შვიდი სხვა-და-სხვა მნიშვნელობა და სხვ.; პირ-იქით სიტყვისათვის „ჭრა“ ამავე მეცნიერს ჩამოთვლილი აქვს ოც-და-ჩვიდმეტი სხვა-და-სხვა სიტყვა, სიტყვისათვის „მაგარი“— ათი, სიტყვისათვის „ნავი“ ან „გემი“— ოც-და-ექვსი და სხვ. აქედან ჩვენ შემდეგი დასკვნა გამოგვყავს: პირველში ერთი რომელიმე ბგერათა კავშირი (შეერთება) განსაზღვრავდა ყოველ გვარ ნივთებს და ერთსა-და-იმავე ნივთს გამოხატავდენ იმ ბგერათა კავშირით. მეორე მხრით აბელი საზღვარს უდებს ამ უწყალო არევას, რადგანაც მანვე იცის იმისთანა სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა მტკიცეთ განსაზღვრული იყო და აგრეთვე იმისთანა ერთ—ბგეროვანი სიტყვებიც, რომლებიც იხმარებოდენ ყოველ კუთხეში და ყოველ დროს; იცის, რომ უმრავლეს სიტყვებს ჯერ ისევ უძველეს დროს მიეღიათ განსაკუთრებითი მნიშვნელობა; მაგრამ მიუხედავათ ამისა არეულ-დარეულობა მაინც რჩება, ასე, რომ საჭიროა ვიკითხოთ: როგორ აგებინებდენ ერთმანეთს ადამიანები? ახალმა დრომ მოახერხა ჰიეროგლიფების ახსნა (ამოკითხვა) ორ ენოვან (ორ ენაზე) წარწერათა მეოხებით. ბერძნულმა ტექსტმა შესაძლებელ-ჰყო აღდგენა ეგვიპტური ანბანისა. ამ ღირს შესანიშნავ საქმეს ხელი შეუწყვეს აგრეთვე თითოეულ სიტყვის გვერდზე მიხატულ ნახატებმა; ცხადია, ამ სურათებს იგივე სამსახური უნდა გაეწიათ იმ დროინდელ მკითხველთათვისაც. ეს ნახატები სრულებით არ ემსგავსებიან ჩვენი დროის ნახატებს და ილლიუსტრაციებს, არამედ ისინი წარმოადგენდენ იმ დროს აუცილებელ საჭიროებას, ურომლისოთ მაშინდელ მკითველს არ შეეძლო გაეგო, თუ რას მოუთხრობდა წარწერა. ზოგიერთ საგრამატიკო შემეცნებათა გარდა, რომლებიც მუდმივი ხმარების მეოხებით მალე გასაგებნი შეიქმენ, თითოეულ სიტყვას ასოებითი აღნიშვნის გვერდით მიხატული აქვს ამხსნელი სურათი. როცა იგულისხმება მცენარე, მაშინ გამოხატულია ყვავილის სახე, როცა იგულისხმება რამე ავათმყოფობა, მაშინ რაიმე განსაზღვრული სურათი, რომელიც ყოველთვის უბედურებას ან უწმინდურებას აღნიშნავს და სხვ. არის ასი ამისთანა განსაზღვრული კლასსიფიკაციის ნიშნები, რომლებიც აადვილებენ გაგებას; მაგრამ ამასთან ისინივე გვიჩვენებენ, რომ ადამიანები ძველის-ძველის დროისა ისე ადვილათ ვერ აგებინებდენ თავიანთ აზრებს ერთმანეთს, როგორც ჩვენ ეს შეგვიძლია ახლა; ეს გარემოება ჩვენ საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პირველ-ყოფილ ადამიანებისთვის კიდევ უფრო საძნელო იყო ერთმანეთის გაგება, ვინემ შედარებით უფრო განვითარებულ ეგვიპტელებისათვის, თუ კი ეს უკანასკნელნიც, მიუხედავათ თავის მაღალი კულტურისა, იძულიბულნი იყვენ მიემართათ ამისათვის ზემო ნაჩვენებ საშუალებათათვის. იმათი ენა ჯერ კიდევ ისე სუსტი და უსრული იყო, რომ მარტო ბგეროვანი ენა საკმარისი არ იყო. სიტყვებით ლაპარაკის დროს უნდა მიერმართათ ხოლმე სხეულის და პირის მოძრაობისათვის, როგორც გაგებისთვის დამხმარებელ საშუალებათათვის. დოქ. აბელი ასახელებს ზოგიერთ აზრით ღატაკ აღმოსავლეთის მცხოვრებლებს, რომლებიც ჯერ დღესაც თითქმის იმდენათვე ლაპარაკობენ ხელებით და მინით, რამდენათ პირით. გარდა ამისა ისიც არ უნდა დავიიწყოთ, რომ მაშინ აზროვნების სფერაც უფრო ვიწროთ იყო შემოფარგლული ბ უმთავრესათ გრძნობიერ და მარტივ საგნებათა გარშემო ტრიალებდა. მაგ., შემდეგი ჰიეროგლიფური ხანაც არ იძლევა ნამდვილ წმინდა აბსტრაკტულ იდეებს: სიყვარული გამოიხატება მხოლოთ სურვილით (წადილით), ნებაბრძანებით, პატივი – ქებით და შიშით; ასე რომ, რამდენათაც უკან დავიწვეთ, იმდენათ ყოველ დღიური ლაპარაკი უნდა ყოფილიყო უფრო გრძნობიერი,— ნიშნებზე, მხედველობაზე და ტანის მოძრაობაზე დამყარებული. მაგრამ ამასთანავე სიტყვათა საუნჯე—ლექსიკონი ძლიერ მდიდარი იყო; ამაში აბელი ეთანხმება მაქს მიულერს, რომელიც ამბობს: „რიცხვი ფონეტურ ტიპთა წინაპირველათ უთვა-

*) ჰომონიმი—ერთი და იგივე სიტყვა, მაგრამ სხვა-და-სხვა შემეცნებათა გამომსატველი; სინონიმები—სხვა-და-სხვა სიტყვები, რომლებსაც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ.

მთარგ.

ლაეი უნდა ყოფილიყო და მხოლოთ ბუნებითი „ელიმინაციის“ (გამორიცხვის) პროცესის მეოხებით, იმ პროცესისა, რომელიც სიტყვათა უძველეს ისტორიაშიაც ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, შესაძლო იყო, რომ სინონიმური ფესვები თანდათან მათი განუვითარებელი მარცვლებითურთ ერთი-მეორეს შემდეგ დაკარგულიყვნენ, ... ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ენის რადიკალურ ელემენტთა მტკიცეთ დამყარებას წინ უნდა ძღოლოდა ხანა განუსაზღვრელი ზრდისა — ენის გაზაფხული, — რომელსაც უნდა მოჰყოლოდა თავისებური შემოდგომა“. ენის განვითარება, ერთი მხრით, მდგომარეობდა იმაში, რომ სიტყვების რიცხვი იმდენათ გამრავლებულიყო, რომ იმათი შემწეობით, რაც შეიძლება, უფრო მეტი შემეცნებათა გამოხატვა შესაძლებელი გამხდარიყო, და, მეორე მხრით, — იმაში, რომ ეს სიტყვები ისე გაწეს-რიგებულიყო, რომ სხვა-და-სხვა საჭიროებათა და იდეათა გამოხატვა ერთ და იმავე დროს ადვილაც და სწორი ყოფილიყო. აზროვნების მომეტებულ სისწორემ და ნაციონალური მსმენელობის გაუმჯობესობამ დაამთავრეს ეგვიპტელებთან ეს ნაბიჯი. შემდეგ ისტორიულ ხანაში ეს წინ-მსვლელობა უფრო აშკარაა. ჩვენ ვხედავთ, მაგ., რომ აურაცხელი ჰომონიმების და სინონიმებისიგან თანდათან წარმოდგებიან ახალი სიტყვები განსაკუთრებული და განსაზღვრული მნიშვნელობისანი. თუმცა ჰიეროგლიფური ლიტერატურა ძლიერ დაკავშირებულია ეგრეთ წოდებულ „წმინდა დიალექტის“ ვოკაბულარიუმთან (სიტყვათა კრებულთან), მაგრამ პაპირუსის რვეულებში კაცი კი შეამჩნევს ახალ სიტყვებს. ეს მოვლენა უფრო ცხადათ მოჩანს შემდეგში. კოპტებმა — ასე ეძახოდენ ეგვიპტელებს მას შემდეგ, რაც იმათ ქრისტიანობა მიიღეს — გადაითარგმნეს დაბადება სამშობლო ენაზე და მით დარწმუნდენ, რომ ხალხური ენა გამხდარა ისეთ კილოთ (იდიომათ), რომელიც ძველი ჰიეროგლიფური გადმოცემისაგან არსებითათ განირჩეოდა. ჰომონიმები და სინონიმები უმეტეს ნაწილათ გამქრალიყვნენ; გარდა ამისა ძველ ფესვთაგან წარმომდგარიყვნენ ახალი, სხვა ბგეროვანი სიტყვები. ჰიეროგლიფური „cher“ თორმეტ მნიშვნელობათაგან სამამდე ჩამოსულიყო, „ჭრა“ 37 სიტყვებიდან—ათამდე და სხვ. ენის განვითარების მსვლელობა მდგომარეობს, მაშასადამე, შემდეგში: თავდა-პირველათ არსებობს დიდ-ძალი რიცხვი ჰომონიმებისა და სინონიმებისა, რის გამო სიტყვები ნათლათ ვერ ხატვენ თავიანთ მნიშვნელობას; შემდეგ, რამდენათ განსაზღვრული ბგერანი უფრო მტკიცეთ და შეურყეველათ ხატავენ ერთ რომელსამე განსაზღვრულ მნიშვნელობას, იმდენათ ენაც უფრო ადვილ გასაგები ხდება. თუმცა სემიტიური და არიული ენების დაკვირვება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეუძლებელია ისე, როგორც ეგვიპტური ენისა, მაგრამ საფუძვლიანი გამოკვლევა აქაც იმავე ჭეშმარიტებას ხატავს. ამის დასამტკიცებლათ დოქ. აბელს მოჰყავს დიდ-ძალი რიცხვი სემიტურ და ინდო-გერმანულ სიტყვათა. ის ფაქტი, რომ ყოველგან არსებობდა ისეთი დრო, როდესაც ერთი-და იგივე შემეცნება გამოიხატებოდა ხოლმე მრავალი სიტყვებით და თითქმის თითოეული სიტყვა განმარტავდა მრავალ შემეცნებათა, — აი ეს გარემოება არღვევს იმ ჰიპოტეზას, რომ ენა საყოველთაო გაგებასთან ერთათ თითქოს ზეგარდმო შთაგონების მეოხებით წარმომდგარიყოს; ეს მოვლენა, რომ დღეს რომელსამე განვითარებულ ენაში ერთ რომელსამე ბგერას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს, თავდა-პირველათ, ენის დასაწყისში არ არსებობს. ხოლო რაიცა ნამდვილათ მოხდა, — ეს თანდათანი განვითარება იმ ნიჭისა, რომელიც შეადგენს ადამიანის არსების კუთვნილებას: ბგერანი მჭიდროთ დაუკავშირდენ იდეებს.

ნათელი, რომელიც ეფინება ეგვიპტური ენის მეოხებით ადამიანის გონების (ინტელლეკტის) პირვანდელ მდგომარეობას, არ განისაზღვრება მარტო ამ სამფლობელოთი; იგი (ეგვიპტ. ენა) გვიჩვენებს აგრეთვე იმასაც, თუ რა გვარათ მუშაობდა გონება. ეგვიპტური ენა შეიცავს საკმაო რიცხვს ორი სრულიად ერთმანეთის მოწინააღმდეგე მნიშვნელოვან სიტყვებისას. აი, მაგალ.: ken ნიშნავს მაგარსა და სუსტსაც, at—სმენას და სიყრუეს (ყრუთ ყოფნას), „tem“—დამწყვდევას, დაკეტვას, შერიცხვას და გამოშვებას, გამორიცხვას. გარდა ამისა ვხედავთ იმისთანა შეერთებათაც, როგორც: მოხუც-ახალგაზდა, შორი-ახლოს, გარეთ-შიგნით, შეერთება-გაყოფა. როგორ მივიდენ ამისთანა, ჩვენი წარმოდგენით, ახირებულ სიტყვებამდე? დიახ, ადამიანისთვის ისე ადვილი კი არ იყო ყოველთვის, როგორც ჩვენთვის არის ეს დღეს, სხვა-და-სხვა შემეცნებათა წარმოდგენა თავის-თავათ. რა არის ცივი, რა არის თბილი; რა არის ნათელი, რა არის ბნელი? ყოველთვის ერთგვარი ტემპერატურა რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა ცივსა და თბილზე, სიცხესა და ყინვაზე: ყველგან რომ ერთნაირი სინათლე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ლექსიკონს გამოაკლდებოდენ: ნათელი და ბნელი, სინათლე და სიბნელე. პირველში ისეთი პირის-პირობანი (წინააღმდეგობანი) მხოლოთ თავის განსხვავებითა იცნობებოდა; იმ დროს ერთ და იმავე სიტყვაში მოქმედების ანუ მოძრაობის სხვა-და-სხვა ხარისხი გამოიხატებოდა თავისი დადებითი

თუ უარყოფითი თვისებით. ამ სახით „ken“ არ ნიშნავდა საკუთრივ არც მაგარს და არც სუსტს, არამედ — ძალის ხარისხს, ნიშანს, რომ ძლიერთან სუსტიც უნდა წარმოედგინათ, ასე რომ ჯერ კიდევ სისუსტე სიძლიერისაგან კარგათ ვერ განერჩიათ და საჭიროებდენ გაგების სიცხადისათვის „ჟესტს“ — სხეულის მოძრაობას ანუ სურათს. როცა სიტყვა „ken“ ნიშნავს ძლიერს იმის უკან დგას კაცი ხელებ-აწეული, რომლებშიაც იარაღი უჭირავს; „ken“ — სუსტს როცა ნიშნავს მაშინ მის უკან ზის ერთი წელში-მოხრილ (მოკრუნჩული) კაცის ნახატი ჩამოშვებული ხელებით. „tem“ აღნიშნავს ჩაჭრეტას, ჩარიცხვას; ან გამოგდებას, გამორიცხვას; პირველი იგულისხმება, თუ მეორე, — ამას გვიჩვენებს სხეულის მოძრაობა, ანუ სურათი მაგრათ მოჭერილი სახლართისა და ფრინველისა, რომელიც ყოველთვის რაღაც ცუდს აღნიშნავს. სიტყვებს „at“ სმენა და არ-სმენა (ყრუობა), „sneh“ შეკრვა და გახსნა უნდა ჰქონოდათ უეჭველათ რამე ძნელათ დასახსნი. ყოველ შემთხვევაში, ეს კი ცხადია, რომ ძლიერ დიდიხანი უნდა გასულიყო, ვიდრე ენა თავს დააღწევდა ამ გაურკვევლობას. რასაც ახლა თითოეული ბავში თითქმის დედის ძუძუსთან ერთათ წოვს, — სწორე ხმარება სიტყვათა, როგორც, მაგ., დიდი, პატარა, კარგი, ავი და სხვა, ის კაცობრიობამ მრავალ საუკუნეთა შრომით მოიპოვა. აბელი იგონებს ინგლისურ without, გერმანულ mit ohne, Boden, რომელიც როგორც მიწის ზედაპირს, ისე ნიადაგსაც აღნიშნავს, იმის დასამტკიცებლათ, რომ კვალი პირვანდელი სიძნელისა ერთ მნიშვნელოვან სიტყვებშიაც კი დარჩენილა.

პ. გ. ჭარაია.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.

განჯაში მცხოვრებ ქართველობას შეუდგენია პატარა წრე იმ მიზნით რომ ერთი დიდი ნაკლი ჩვენი მწერლობისა — სამეცნიერო წიგნების უქონლობა — შეავსონ. ამ ფრიად სასარგებლო საქმეს განჯის ქართველობა შესანიშნავი თავ-გამოდებით მოკიდებია. წიგნები სათარგმნათ უკვე დაურიგებიათ და ამ ჟამათ ისინი გადაეცემიან სარედაქციო კომისიას გასაშინჯავათ. ამავე მიზნისთვის თითოეული თანამგრძნობელი ყოველ თვეში იხდის არა ნაკლებ ათი შაურისა. აპრილიდან უკვე იკრიფება ფული.

ეჭვი არ არის, რომ ყველა ქართველი აღტაცებით მიეგებება განჯელ ქართველთა განზრახვას. სამწუხაროთ, ჩვენ არ ვიცნობთ იმათ პროგრამას, ე. ი. თუ რა ხასიათის წიგნებს მიაქცევენ განსაკუთრებითი ყურადღებას. ამას ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რომ მეცნიერება ძლიერ ფართო შემეცნებაა და მის სამფლობელოში შედის ყველაფერი, რაც კი შეეხება მთელ მსოფლიოს, კერძოთ ჩვენ დედამიწას და მის ცხოვრებას. მეორე მხრით, ისიც ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენთვის ამ ჟამათ უაღრესი მნიშვნელობა უნდა ექნეს მეცნიერების რომელსამე განსაზღვრულ დარგს; ვამბობთ უაღრესი-თქო, რადგანაც მეცნიერული წიგნი, რაც უნდა შინაარსის იყოს, ყოველთვის სასარგებლო იქნება. ჩვენი შეხედულებით, რასაც ღრმა საფუძველი აქვს, უაღრესი მნიშვნელობა ჩვენთვის დღეს აქვთ იმ ჯვარ სამეცნიერო წიგნებს, რომლებიც ასე თუ ისე ეხებიან საზოგადოებრივ ურთიერთობათა. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ აქ სახეში გვაქვს ეკონომიური კითხვების ახსნა და განმარტება. როგორ გადაწყვიტა ეს კითხვა განჯელ ქართველობამ? — ჩვენ ამის შესახებ არა ვიცით რა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ კეთილ განზრახვას გამარჯვებას ვუსურვებთ.

* * *

11 მარიამობისთვეს, ქართული სცენის მოყვარეთაგან გამართულ იქმნა ნაძალადევეელთა უბანში მუქთი წარმოდგენა. ითამაშეს „ძუნწი“, კომ. გ. ერისთვისა. წარმოდგენამ ერთობ კარგათ ჩაიარა და საზოგადოებაც ისე ნასიამოვნევი დარჩა, რომ ბევრმა სურვილი გამოაცხადა, რომ ოღონდა კიდევ გამართეთ ამნაირი წარმოდგენები და ფულსაც გადაიხდითო.

* * *

„კავკასიის სამეურნეო გაზეთის“ სიტყვით, შემოდგომაზე „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება“ ჩვეულებრივათ გამართავს „თესლების შინაურ გამოფენას“. განცხადებანი გამოფენაში მონაწილეობის მიღებისათვის უნდა გაიგზავნოს 15 ოკტომბრამდის ექსპონენტის დაწვრილებითი ადრესით და თესლის ნიმუშებით. პურის თესლი უნდა გაიგზავნოს არა ნაკლებ ერთი ფუთისა, საქონლის საკვებ და ზეთის მცენარეთა თესლი — არა ნაკლებ 20 გირვანქისა, ტეხნიკურ-საღებმიცემო და სამკურნალო მცენარეთა თესლი — არა ნაკლებ 5 გირვანქისა. პურის თესლთან ერთათ უნდა გაგზავნილ იქნას მცენარის

თავთავი, სხვების, შეძლების დაგვარათ, მთელი მცენარე. თესლის გაშინჯვისათვის (экспертиза) საზოგადოება აიღებს ერთ მანეთს თითოეულ ნიმუშზე; ამ გადასახადიდან გაათავისუფლებენ იმათ, ვინც გაგზავნილ ნიმუშებს საზოგადოებას დაუთმობს. განცხადებასთან ერთათ ექსპერტებმა უნდა წარადგინონ შემდეგი ცნობები: 1) გაგზავნილი ნიმუში რომელი წლის მოსავლისაა; 2) გასაყიდ თესლის რაოდენობა, ფასის დასახელებით გაგზავნითურთ; 3) რაოდენობა მიწისა, სადაც დათესილია ის მცენარეები, რომელთა ნიმუშები გამოფენაში იგზავნებიან; 4) თუ რა ნაირია დათესვის, გაწმენდის, გახმობის, გაშრობის და განიავების წეს-რიგი და სხვ.

ვისაც ჯილდო მიესაჯება, ის მაშინვე გამოქვეყნდება „საზოგადოების შრომაში" და სამეურნეო გამოცემებში.

განცხადებანი თესლებითთურთ გაიგზავნებიან შემდეგი აღრესით: С.-Петербургъ, въ Импер. Вольное Экономическое Общество, уголъ Забалканскаго Проспекта.

* * *

თბილისის გუბერნატორის მოადგილემ ამ დღეებში აცნობა ქალაქის მოურავს, რომ მთავარ-მართებლის თანაშემწემ, გრაფმა ტატიშჩევმა, ნება დართო, რათა წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენათ ქალაქის საბჭომ გამართოს ლატარია-ალეგრი არა უმეტეს 1,500 მან. ამ მიზნისათვის შემდგარმა კომისიამ უკვე დაიწყო შემოწირულებათა მოგროვება.

* * *

ბორჯომიდან გაზ. „Нов. Обоз." სხვათა შორის წერენ: ბორჯომის წყალი სულ უფრო და უფრო ვრცელდება რუსეთში. ამ დღეებში, მაგ., ვიღაც პოკრასოვს პირობა შეუკრავს ბორჯომის მამულთან, რომლის ძალით უკანასკნელმა უნდა აძლიოს წლიურათ 200,000 ბოთლი წყალი—რუსეთის მარტო სამხრეთ გუბერნიებისათვის. ბოთლები გაკეთებული იქნებიან ადგილობრივ. პეტერბურგელ კაპიტალისტმა ლიხაჩოვმა უკვე ააგო ქარხანისთვის უზარ-მაზარი შენობა შავ წყალზე; ეს ქარხანა დაიწყებს თავის მოქმედებას ამ წლის დასასრულს.

* * *

ლანჩხუთიდან: წლევანდელმა ზამთარმა თუმცა ლა დაზარალა, სხვათა შორის, ჩვენი სოფლიც; მაგრამ ამავე გარემოებამ ერთი სარგებლობაც მოგვიტანა ლანჩხუთლებს. საქმე ის არის, რომ ჩვენი სოფლის მახლობლათ, ასე ერთ ვერსზე, მთის ერთი ნაწილი მოზვავდა, სადაც აღმოჩნდა მეტათ სასარგებლო საბანოვე გოგირდის წყალი, ჯაფარიძის, კვირკველიას, კვეტაიშვილის და გვარჯალაძის მამულში; აქ უკვე გააკეთეს დროებითი საბანებელი. ვინც კი ისარგებლა ამ წყლით, გვარწმუნებენ, რომ ზოგიერთ ავათმყოფთათვის ძლიერ სასარგებლო არისო. ამნაირი წყალი ჩვენ სოფლის ახლო არსად არ მოიპოვებოდა; ამისათვის კარგი იქნება, რომ ის გაშინჯებოდეს, ვისგანაც ჯერ არს, რომ მართლა დავრწმუნდეთ მის მკურნალობითი თვისებაში.

* * *

„სამეურნეო გაზეთს" სოფ. კარდენახიდან ატყობინებენ, რომ სიღნაღელი ეაჭრები გოგირდის მაგიერათ, რასაც ვენახის საექიმოთ ხმარობენ ოიდიუმის წინააღმდეგ, ყიდიან რაღაც სიმინდის და ქვიშის ნარევს. ამ შემთხვევაში ეს ეაჭრები ისე ურცხვათ იქცევიან, რომ თავიანთ საქციელს არც კი მალვენ. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რადგანაც ხალხი ძლივს ეჩვევა ვენახების ექიმობას და თუ მას წამლის სახელით რაღაც სულ სხვას აწვდიან, ამას ის შედეგი მოყვება, რომ ხალხი სულ დაანებებს თავს ამ გვარ უნაყოფო დავიდარაბას.



საყურადღებო ამბები.

ბათომი. როგორც ვიცით, აგერ მეორე წელიწადია რაც რამდენიმე პატიოსანმულმა პირებმა განიზრახეს ბათომში სამკითხველოს დაარსება; ამისათვის კიდევაც შეუდგენ ფულის მოგროვებას, როგორც ბათომში, აგრეთვე სხვაგანაც, მაგ., სოხუმში მოაგროვეს და გამოუგზავნეს პატიოსანმულ მზრუნველთ რამდენიმე მანეთი. როგორც გავიგეთ ამ ჟამათ 600 მანეთამდეა შეგროვებული ამ საქმისათვის, მაგრამ მზრუნველნი არათუ მეცადინეობენ, არამედ თითქო ფიქრათაც არ მოდით სამკითხველოს გახსნა, თორემ რა მიზეზია, ან რა დაბრკოლება გადაეღობა წინ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხეს ამ საქმის დაბოლოვება. იმ დროს, როცა თვით პაწაწკინა სოფლებშიაც კი შეხედებით სოფლის სკოლებთან შეენიერათ მორთულ პატარა სამკითხველოებს, მაგ., გურიაში და აგრე-

თევ, სოხუმშიაც, სადაც ერთმა მუჭა საზოგადოებამ რამდენიმე თვის განმავლობაში საუცხოვოთ მოაწყო სამკითხველო, რომელშიაც თითქმის ყოველგვარი ქართული წიგნები მოიპოვება და ოცდახუთამდე დრო-გამოშვებითი გამოცემა, - ბათომის სამკითხველოს რაღა დაემართა? ჩვენ ამის განსჯაში არ შევდივართ, ვიტყვით მხოლოთ, რომ ბათომს დღეს ძლიერ ესაჭიროება იაფ-ფასიანი სამკითხველო. აქ დიდძალი მუშა ხალხი ტრიალებს, რომელსაც სურვილი აქვს წიგნების კითხვისა, მაგრამ ქონება ნებას არ აძლევს, რომ საკუთრათ შეიძინოს და იკითხოს. აი, ამისთანა საზოგადოებას ესაჭიროება იაფ ფასიანი სამკითხველო. მაგრამ, როგორც ხედავთ, ბბ. მზრუნველთ თითქოს ჩაილურის წყალი დაულევიათო, ისე გაუკმედიათ ხმა ამის შესახებ.

ბასკელი.

* * *

ქვემო რაჭა. რაჭაში კარგ მოსავლიან წელიწადშიც არ მოუდის ყველას საკმარისი სარჩო და იძულებული არიან გამოიკვებონ თავი სხვაგან ნაყიდით. აგერ სამი წელიწადია ზედი-ზედ აქ მოუსავლობაა, რის გამო ხალხი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. აბა, ვის არ შეაწუხებს და გაუწყალებს გულს სოფელში, რაც უნდა შეძლებული იყოს, მუდამ პურის და სიმიდის ყიდვა? გლეხმა სარჩო იყიდოს, თუ ათას სხვა გადასახადს გაუძლოს? საფოსტო, კანცელარიის, მასწავლებლის, მღვდლის, ჩაფრის, ბანკის *) და სხვა გადასახადი, ყველა მის კისერზეა დაწოლილი.

სიმიდს ყიდულობენ ქუთაისის და სენაკის მაზრებში, მაგრამ რაც უნდა იაფათ იყოს შეძენილი, აქ ფუთს მანეთზე ნაკლებ ვერავინ შოულობს. ფუთი პური კი მანეთ ნახევრამდის ფასობს.

ერთ კვირაზე მეტია, რაც აქ პურის მკა დაიწყეს, ზოგიერთებმა გალეწეს კიდეც, მაგრამ ვერაფერ საიმედოს ვერ ხედვენ; სიმიდის მოსავლის იმედი სულ დაჰკარგეს, რადგანაც გამუდმებულ გვალვას დასასრული არ მიეცა. ერთი და იმედით კიდევ სულდგმულობს რაჭველი. ის ხედავს კარგათ მოსხმულ ვენახებს და ამბობს: მადლობა ღმერთს, ღვინო მაინც მომ-ვა, გავყიდი, ორიოდე გროშს ავიღებ და თავს იოლათ გავიტანო. მართალი უნდა ვთქვა: დიდი ხანია რაჭაში არ უნახავთ ასე კარგათ მოსხმული ვენახები, რაც, სხვათა შორის, უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ წელს თითქმის ყველამ უწამლა „ბორდოს სითხით“, განსაკუთრებით ნიკორწმინდის და ამბროლაურის საზოგადოებაში. ღვინო ბევრი უნდა მოვიდეს, თუ სეტყვამ არ მოუსწრო.

მაგრამ დიდ ხანს გაგრძელდება ვენახების არსებობა რაჭაში, თუ ამასაც იგივე ბედი მოელის, რაც ეწვია შორაპნის მაზრას ფილოქსერის წყალობით? ეჭვს გარეშეა, რომ აქაური ვენახები, ადრე თუ გვიან, შეიქნებიან ფილოქსერის მსხვერპლი (ს. ცაჰში წელსაც აღმოაჩინეს ფილოქსერა). ამიტომ საჭიროა, ერთი მხრით იმნაირი მეცადინეობა, რათა ფილოქსერა ჩვეულებრივი სისწრაფით არ მოედვას ქვეყანას, და მეორე მხრით, ხალხის მომზადება ამერიკულ ვაზის გაშენებისათვის.

ამ მხრით აუცილებლათ საჭიროა მიაქციონ ყურადღება ნაქერალის გზას, რომელზედაც შეუწყვეტელი მიმოსვლაა რაჭას და იმერეთს შუა, ცხენით თუ ფეხით. ქუთაისის და შორაპნის მაზრიდან ეზიდებიან მარილს, სიმინდს, დოქებს და ქოთნებს ძარებით, სადაც ჩაფენილია გვიმბრის ფურცლები ან სხვა რამე. ვინ იცის, შეიძლება, ვაზებიც გადმოიტანონ. მაშინ ხომ არაფერი დაუშლის ფილოქსერის გადმოტანას და გავრცელებას? ამისთვის საჭიროა რამე საშუალება მიიღონ და ცოტა-ხნით მაინც უზრუნველ ყონ რაჭის ვენახები ფილოქსერისაგან. ეს საშუალება, რასაკვირველია, მოგზაურების და მათი ბარგის დეზინფექციაა, რაც არაფერ ხარჯს და სიძნელეს არ წარმოადგენს (?).

ს. მ.

* * *

ოზურგეთი. ოზურგეთს მხოლოთ წელს მიენიჭა საქალაქო თვით—მმართველობა. თებერვალში აირჩიეს ხმოსნები. როცა იმათი არჩევანი დამტკიცებულ იქმნა, ჯერი მიდგა ქალაქის თავის არჩევანზე. 17 ივ-

*) ამ „ბანკის“ ფულის შესახებ სწორეთ საკვირველი საქმე ჭირს ლეჩხუმს და რაჭას. რამდენიმე წლის წინეთ აქ დაუარსებიათ საზოგადო მაღაზიები, რომლებშიაც ყველა მოსახლეს უნდა მიეღო მონაწილეობა რამდენიმე ფუთი პურის თუ სიმიდის შეტანით. ზოგიერთ ბატონების წყალობით ეს მაღაზიები „უფსკრული“ გამხდარან, რადგანაც შიგ კი შექონდათ თურმე, მაგრამ გავსებით არ ივსებოდენ. ამის გამო, სიმიდის მაგივრათ, თითო მოსახლეზე დაუდვიათ გადასახადი ორ-ორი აბაზი, რომელსაც მოხელეები აგროვებენ ბანკის ფულის სახელწოდებით. თუ მართლა ამ ფულს აქვს დანიშნულება დაეხმაროს ხალხს გაჭირვების დროს, როდისღა უნდა დახმარება, თუ არა ახლა, როდესაც გლეხობა რამოდენიმე წლის მოუსავლობის გამო ლამის სულ განადგურდეს?..

ლისს შეიკრიბენ ხმოსნები თავის ასარჩევათ. დაასახელეს რამდენიმე კანდიდატი თვით ხმოსნებთა შორის, მაგრამ მათ უარი განაცხადეს და გულ-წრფელათ აღიარეს: ,,ამ დიდ მოვალეობის ასრულება ჩვენგანს არც ერთს არ შეუძლია. თუმცა ჩვენი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ ეს ადგილი ური გო არ არისო, ჯამაგირიც გვარიანიაო (წესდების ძალით 800 მანეთი), მაგრამ ჩვენი პატარა ოზურგეთი ახლა ისე შავიწროებული და დაცემულია, რომ თხოულობს ნიჭიერს, ნასწავლს და განათლებულს მოღვაწეს; შეიძლება ამნაირმა კაცმა როგორმე წამოაყენოს და წარმატების გზაზე დააყენოს; ჩვენგანი კი არც ერთი არ არის ამის შემძლე. ამიტომ ჩვენს გარეთ მოვძებნოთ ამნაირი კაცი და მოვიწვიოთო. მართალია, ამნაირი კაცისთვის 800 მანეთი ცოტაა, მაგრამ ვეცადოთ და მიუმატოთო". ამას შემდეგ რამდენიმე ხმოსანმა კანდიდატათ დაასახელა ოდესის უნივერსიტეტში წელს სწავლა-დამთავრებული თ. ნ. თავდგირიძე. ამით ყველა ხმოსნები კმაყოფილი დარჩენ, დაუდგეს ყუთი და ერთხმათ აირჩიეს; წლიური ჯამაგირი ათას ორასი მანეთი დაუნიშნეს.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ჩვენი ქალაქის მხოსნები ამისთანა გონივრული მოქმედებისათვის. თ. ნ. თავდგირიძემაც დიდი სიამოვნებით მიიღო ოზურგეთლების თხოვნა.

დღეს მთელი ოზურგეთი ამაყობს ასეთი კაცის არჩევით, ყველას დიდი იმედი აქვს მომავლის და თან დარწმუნებულია, რომ იმედი არ გაუცრუვდება. ყველას წამს და ჯერა, რომ ახალი ქალაქის თავი ბბ. ხმოსნების დახმარებით ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ახალთაობის სწავლა-განათლებას, განსაკუთრებით დედათა ორ-კლასიან სასწავლებელს. ამასთან ბბ. ხმოსნები არ დაივიწყებენ იმ გარემოებასაც, რომ ოზურგეთში წიგნთ-საცავი და სამკითხველო არ არსებობს, თუმცა მკვიდრთა შორის წიგნების კითხვის მადა-სურვილი დიდია.

გ. მა.—ძე.

* * *

ლეჩხუმი. 3 აგვისტოს დაეცენ თავს არქიმანდრიტ მამა კირილეს, და წაართვეს ყველაფერი რაც კი რამ გააჩნდა: ფულათ 3785 მანეთი, ბევრი ვერცხლის და ოქროს ნივთები. ავაზაკებმა რამდენიმე ალაგას დაჭრეს მამა არქიმანდრიტი. რიცხვით თორმეტამდე ყოფილიყვნენ; თოფის სროლით მისულიყვნენ მონასტერში; ზოგნი შიგ შეუცვივდენ მ. არქიმანდრიტსა და ზოგიც თოფის სროლით გარს ტრიალებდენ. როცა დაკმაყოფილდენ ავაზაკები ,,ორიდილას" და ,,ურას" ძახილით გაუდგენ გზას. ჯერ-ჯერობით ვერავინ იპოვეს; მამა არქიმანდრიტის ჭრილობა საშიში არ არის.

აკქსენტი სალდათი.

* * *

ს. ქვემო-ჭალა. 4 ამ თვეს ქვემოჭალის ახალგაზდობამ კ-ნა ალექ. ივანეს ასულის ფალავანდიშვილის თაოსნობით გამართა ქართული წარმოდგენა ადგილობრივი სცენის სასარგებლოთ. წარმოდგენის შემოსავალი 95 მან. იყო. წარმოადგინეს ,,არსენა", დრამა ა. ყაზბეგისა და სხვა. საზოგადოება ბლომათ დაესწრო და დიდი კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით; რადგანაც წარმოდგენა გარეთ იყო, ამისათვის თავადაზნაურთა გარდა გლეხკაცობაც ბლომათ (მუქთათ) დაესწრო. ამ წელს ეს მესამე წარმოდგენა გაუმართავთ აქ და სამივე ჯერ საქველ-მოქმედო მიზნით.

ქალის ახალგაზდობას უფასო სამკითხველოს და ბიბლიოთეკის დაარსება განუზრახავს, ამისათვის გადადებულია წარმოდგენიდან შემოსული ფული და კარგი იქნება, თუ ეს განზრახვა მალე განხორციელდება. იმედია კნეინა ა. ფალავანდიშვილისა ამ კეთილ განზრახვასაც ძალიან თანაგრძნობით მოეკიდება.

ალ. მეჯუღლი.

* * *

ფოთი. ყველა ფოთელს მოეხსენება, რომ გურიიდან ყოველ კვირაობით შემოაქვთ ფოთში გასაყიდათ ხალხის დიდ-ძალი ნაწარმოები, რაც მდაბიო ხალხისათვის დიდ საშუალებას შეადგენს, რადგანაც სოფლის ნაწარმოები მას უფრო იაფათ უჯდება. ამისგამო ადგილობრივი წვრილი ვაჭრები, სახელდობრ „მებუტკეები", მტრული თვალით უყურებენ ამ სოფლიდან ჩამოსულ გურულებს და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ იმათ დასამცირებლათ; აი, მაგალითიც: 11 მარიამობისთვეს ერთმა ყმაწვილმა აუტეხა ჩხუბი გურულს, რომელიც ყიდდა ბაზარში ხილეულობას და დაუწყო მას ლანძღვა გინება. გურულმა ამ ყმაწვილის თავიდან ასაცილებლათ ხელი ჰკრა მას; დაინახეს თუ არა ეს მებუტკეებმა, გამოცვივდენ ერთბაშათ, მივარდენ გურულს და დაუწყეს შეუბრალებლათ ცემა. ამნაირი მაგალითი არა ერთი ხდება ფოთში და ურიგო არ იქნება, რომ ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდენ.

გ. საბახტარიშვილი.

**

იმას, ვინც დღეს სხვა შეჰხარის,
ერთ დროს მე შევტრფიალებდი,
გულს ფიანდაზათ ვუშლიდი,
გრძნობათ სიმს ვუწკრიალებდი,
გუნდრუკს ვუკმევდი, ვით ზენას,
ანგელოზს შევადარებდი,
შევცქრიალებდი, ვალხენდი,
ვატკბობდი, ვანარნარებდი.
მაგრამ, დრო-ჟამი იცვალა,
გულს ნისლი გადამეფარა,
სული დაობლდა, დაკნინდა,
სატრფომ სხვა გაიმეფა-რა;
ჯანღათ ქცეულმა გუნდრუკმა
მზის სხივი მოამწუხარა,
გრძნობამ შეწყვიტა სიმები,
საგლოვათ დაიმქუხარა...

განდეგილი.

ნამდვილათ არის ფერი, თუ არა?

ნიუტონმა მზის შუქი პრიზმაში გაატარა და დარწმუნდა, რომ მზის თეთრი ფერი შვიდ სხვა-და სხვა სხივთაგან შედგება. ასე შვიდ ფერათ დაშლილ შუქს სპექტრი *) ეწოდება. ასეთსავე მოვლენას წარმოადგენს ცისარტყელა. მზის შუქი, რაკი წვიმის წვეთებში გაივლის, შვიდ ფერათ დაიშლება და ცისარტყელა გამოჩნდება ცის კამარაზე. შეგვიძლია მზის დაშლილი სხივები ხელ-ახლა შევაერთოთ და თეთრი ფერი მივიღოთ. ამისთვის სრულებით საჭირო არ არის ყველა დაშლილი სხივები შევაერთოთ. საჭიროა ერთი რომელიმე ფერის სხივები ავიღოთ და მათ შევუერთოთ, მივუმატოთ დამატებითი ფერის სხივები. მაგ. წითელი ფერის სხივებს რომ მწვანე ფერის სხივები შევუერთოთ, თეთრ ფერს მივიღებთ. სხივების ასე განცალკევება და შეერთება სრულებით ადვილ საქმეს წარმოადგენს, თუ კი ხელთ შესაფერი იარაღი გვექნება. ამ ხანათ ეს ჩვენთვის საჭირო როდია. ამიტომ აქ არას ვიტყვით ამის შესახებ. ჩვენთვის ის არის საგულისხმო, რომ მზის ჩვეულებრივი, თეთრი ფერის შუქი, სინათლე შვიდ ფერათ დაიშლება ხოლმე, რაკი პრიზმაში ან წვიმის წვეთში გაივლის. ახლა ვიკითხოთ, საიდან ჩნდება ეს შვიდი ფერის სხივი, თვით ფერი რას წარმოადგენს?

ნიუტონის შეხედულებით, მზის შუქის შვიდივე ფერი თვით-ყოფილი და დამოუკიდებელია. შვიდივე ფერის სხივები ობიექტიუსათ მოიპოვებიან ბუნებაში და მზე შვიდივე ფერის სხივების მქონეა. მაგრამ ნიუტონის ამგვარი შეხედულება თანამედროვე ფიზიკამ მიატოვა. მკითხველისათვის, მგონია, საგულისხმო იქნება იცოდეს, თუ რა შეხედულებას დაადგა თანამედროვე ფიზიკური მეცნიერება ფერის შესახებ.

ესა თუ ის ფერი თვით-ყოფილი, დამოუკიდებელი რამე როდია. ფერი, შთაბეჭდილება ფერისა, რომელსაც მივიღებთ ხოლმე ამა თუ იმა საგნიდან, ობიექტიურათ, ნამდვილათ კი არ არის. არა: ეს შთაბეჭდილება მხოლოთ ჩვენი აგებულების შედეგია, ფერი ფიზიოლოგიური ხასიათისაა. თანამედროვე ფიზიკა ჰგონებს, რომ მანათობელი სხეულის, თუ საგნის ყოველ მოლეკულას შეუძლია ატოკდეს მეტის-მეტათ გახშირებით. ეს ტოკვა ეთერის მოლეკულებს გადაეცემა ხოლმე, მას გაიზიარებენ და ერთი მოლეკულა მეორეს გადასცემს, გაუზიარებს. ამნაირათ ეთერიც აღელვდება, აზვირთდება და ატოკდება. როცა ეთერის ეს ტოკვა ჩვენ თვალს მიუხწევს და მის რეტინას გააღიზინებს, მაშინ მივიღებთ შთაბეჭდილებას სინათლისას. თვით ფერი კი რას წარმოადგენს? საქმე ის არის, რომ ეთერის მოლეკულები სხვა-და-სხვა ძალით ატოკდებიან ხოლმე: ზოგი უფრო გახშირებით ტოკავს, ზოგი კი უფრო ნელათ. როცა მოლეკულა გახშირებით ტოკავს, მაშინ იგი უფრო მოკლე ზვირთს აგზავნის გარშემო და უფრო ვიწრო წრესაც შემოფარგლავს. თუ ნელია ტოკვა, ზვირთიც უფრო გრძელია და წრე, მოლეკულასაგან შემოხაზული, უფრო დიდია, უფრო ფართოა. ეთერის ეს სხვა-და-სხვა სიგრძისა და სიგანის ზვირთი, ეს გახშირებული, თუ ნელი ტოკვა თვალის რეტინაზე სხვა-და-სხვა გვარათ მოქმედებს. სხვა და სხვა ფერიც შედეგია ამ სხვა-და-სხვა გვარათ მოქმედებისა, სხვა-და-სხვა გვარათ რეტინის გაღიზიანებისა. მაგ., წითელი ფერის ზვირთი იის-ფერისაზე უფრო გრძელია. (წითელი ფერის ზვირთის სიგრძე უდრის 620 მილიმეტრის მეათასედს, იის-ფერისა კი—423-ს). ამიტომ წითელი ფერის ზვირთი უფრო ნელათ მტოკავია იის-ფერისა კი უფრო გახშირებით. (წითელი ფერის ზვირთი წუთში 485 ტრილიონჯერ ატოკდება, იის-ფერისა კი 710 ტრილიონჯერ). მაშასადამე, ბუნებაში არც ერთი ფერი არ მოიპოვება. არის მხოლოთ ეთე-

*) იხ. ამწლის „კვალი“ № 9.



ნიუტონი მზის შუქს პრიზმაში ატარებს.

წინამძღონი ახალ გვინეიაში.

რის ზეირთებისებური ტოკვა და ღელვა. როცა ჩვენ თვალზე მოქმედებს ეს სხვა-და-სხვა გვარი ტოკვა, მას სხვა-და-სხვა გვარათ გააღიზინებს ხოლმე და ჩვენც მივიღებთ სხვა-და-სხვა ფერის შთაბეჭდილებას. ჰელმჰოლცის აზრით თვალის ინოხში (ნერები) სამი გვარის ნერვალი ძაფია. თითოეული მათგანი შეხამებული, შეფერებულია მხოლოთ ერთი განცალკევებული ფერის სხივთან. ცხადია, ფერი სუბიექტური ცნება ყოფილა და გარეშე ორგანული არსების ფერი არ მოიპოვება.

ეს ასეა. ახლა ვიკითხოთ, სხვა-და-სხვა საგნის ფერი რაღას წარმოადგენს. ნუ თუ შვენიერი მაისის ვარდის წარმტაცი წითელი ფერი ნამდვილათ არ არსებობს? ნუ თუ ახალგაზდა ქალის გულის-თქმათა აღმძერელი ტუჩების ლალის ფერი მხოლოთ მ"ჩვენებაა?.. თანამედროვე ფიზიკა აქაც გადაჭრით ამტკიცებს, რომ საგანს, სხეულს თავისთავათ კუთვნილი ფერი არ მოეპოვება. საქმე ის არის, რომ სხვა-და-სხვა საგანს მზის შუქი ანათებს. განათებული საგანი ამ შუქს ან სრულებით შეიხორცებს, ასე ვთქვათ, ან შუქის ნაწილს შეისვამს, ნაწილს კი უკუაკრთობს. იმის მიხედვით, შუქის თუ რომელი ნაწილი უკუაკრთო საგანმა, მასაც ამავე ფერს ვამჩნევთ. თუ რომ საგანმა სრულიად შეისვა შუქი და მისი არც ერთი ნაწილი არ უკუაკრთო, მაშინ საგანი შავი ფერის გვეჩვენება. თუ გამონაკრთობი შუქი სხივების იმავე პროპორციით და რაოდენობით არის შემდგარი, როგორც მზის შუქი, მაშინ საგანი თეთრი ფერისაა. ისიც ხშირათ მოხდება, როცა საგანი მზის შუქის ყველა სხივებს, გარდა ერთისა შეისვამს. ამ შემთხვევაში საგანი ამ უკანასკნელის ფერისაა. მაგ.; წითელი ფერი მაისის ვარდისა იმის შედეგია, რომ მან მზის შუქის ყველა სხივები—იის-ფერ, მწვანე, ყვითელი, ლურჯი და სხვა-შეისვა, წითელი ფერის სხივები კი უკუ აქცია, უკუაკრთო. ჩვენ თვალს სწორეთ ეს ფერი ხვდება, მის რეტინას მხოლოთ ეს-ღა აღიზიანებს და ვარდიც წითელი ფერის გვეჩვენება. სულ უბრალოთ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ მართლაც საგანს თავისთავათ ფერი არ მოუპოვებია. ამისათვის საჭიროა, სხვა-და-სხვა ფერის საგანი სრულებით ბნელ ოთახში სპეკტრის ამა თუ იმ სხივით გავანათოთ. რა ფერითაც გავანათებთ, საგანიც ამავე ფერისა გვეჩვენება. ლურჯი ფერის საგანი სპეკტრის წითელი სხივებით რომ გავანათოთ, ახლა საგანი ლურჯი კი არა, წითელი იქნება. მაშასადამე, ბუნებაში ფერი თავისთავათ როდი არსებობს, როდი არის. ბუნებაში ნამდვილათ, ობიექტიურათ ეთერის მოლეკულების მხოლოთ სხვა-და-სხვა გვარი ტოკვა წარმოებს. მოლეკულების სხვა-და-სხვა გვარი ტოკვა სხვა-და-სხვა გვარათვე აღიზინებს ჩვენი თვალის რეტინას და ჩვენც სხვა-და-სხვა ფერს ვარჩევთ, საგანს სხვა-და-სხვა ფერს მიკუთვნებთ ხოლმე. ჩანს, შოპენჰაუერი რამდენათმე მართალი ყოფილა, როცა ამბობს, მსოფლიო ჩემი წარმოდგენაა.

გიმნაზიის მოწაფე ქალთა მოგზაურობა ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე.

წერილი II.

პეტროვსკის დათვალიერება ვერ მოვასწრეთ, რადგანაც მარტო ნახევარ საათს ვიყავით იქ. ჩვენი მასწავლებელი მოელაპარაკა სადგურის უფროსს ცალკე ვაგონის შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი ისე უზრდელი გამოდგა, რომ გამოგვიცხადა: ნუ დაიიწყებთ, თქვენ უფასოთ მიბძანდებით და ბატონობას თავი დაანებეთო. ჩვენ, 25 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი, ავჯანყდით და ყველამ ჩხუბი დავუწყეთ; აბა, 26 გაკაპასებული ქალი ვის არ შეაშინებდა, მეტი ღონე აღარ ჰქონდათ, გადაწყვიტეს ჩვენთვის ვაგონის დაცლა. კონდუქტორი წავიდა ამ საქმის შესასრულებლათ. იმან ის კი იცოდა, რომ ერთ ვაგონში მარტო მოსწავლეები უნდა ყოფილიყვენ, მაგრამ, „მოსწავლე“ რას ჰქვია, ეტყობოდა, კარგათ არ ესმოდა. ბებერთან და ყმაწვილთან, კაცთან და ქალთან, ყველასთან მიდიოდა და ერთსა და იმავეს ჰკითხავდა:—თქვენ მოსწავლე ხართ, თუ არა?

ერთმა ხნიერმა კაცმა უპასუხა:—მე მოსწავლე ვარ, რადგანაც კაცი მთელ თავის სიცოცხლეში რამეს სწავლობს.—მაშ თქვენ ამ ქალებთან ერთათ უნდა გატაროთ ღამეო!—გამოუცხადა კონდუქტორმა. ჩვენ ხელ-ახლა ავჯანყდით და გავაგდეთ ის ხნიერი „მოსწავლე“.

იქვე ეძინა ორ პირ-დაღებულ გლეხს. კონდუქტორმა ჰკრა მათ მუჯლუგუნი და დაუყვირა:

— თქვენ მოსწავლეები ხართ, თუ არა?

— მე—კაცი ვარ!—წამოიძახა ერთმა.

— მეც კაცი ვარ!—კიდევ უფრო ხმა-მაღლა დაიძახა მეორემ. კონდუქტორი დარწმუნდა, რომ ისინი მოსწავლეები არ არიან და კინჩხის კვრით გააგდო ორივე გარეთ, თუმცა ისინი შეუწყვეტლათ ყვიროდენ:—კაცები ვართ, კაცებიო! ამნაირათ დაგვიცალეს ვაგონი და ჩვენ თავისუფლათ მოვეწყვეთ იქ.

ოთხშაბათს საღამოს რვა საათზე როსტოვში მოვედით და იქ რამდენიმე საათი ცდა მოგვიხდა. გადავწყვიტეთ ქალაქი დაგვეთვალიერებინა. უმთავრეს ქუჩაზე გავიარეთ კონკით, იქიდან ფეხით დონზე ჩავედით და ფეხითვე დავბრუნდით სადგურზე. ქალაქი საშინლათ მოგვეწონა და ერთ ხმათ გადავწყვიტეთ, თბილისს ათჯერ ჯობს-თქო. მართლაც, ელექტრონული სინათლე, გაზის ფარნები, დიდი და ლამაზი შენობები და მდინარე დონი თავის გემებით ძალიან ამშვენებენ როსტოვს. ქუჩებზე უბრალო ხალხი დაგვეხვია და სადგურამდის მიგვაცილა; საშინლათ უკვირდათ, ეს ქალების ჯოგი აქ საიდან გაჩნდაო და ბოლოს გადაწყვიტეს: ნამდვილათ საიქიოდან იქნებიან მოსულიო.

—სწორეთ იქიდან გახლავართ-თქო დავემოწმეთ ჩვენც.

ორ საათზე ისევ გამოვემგზავრეთ. —ფრთხილათ იყავით, აქ ქურდები არიან!—გაგვაფრთხილა კონდუქტორმა. მე და ერთმა ჩემმა ამხანაგმა კარგათ შევინახეთ ყუთში ჩვენი ფეხსაცმელები და დავიძინეთ; იმდენი კი აღარ ვიფიქრეთ, რომ საკვირიაჟეც შეგვენახა. გავიღვიძეთ და სადღა იყო! მაგრამ ისე მხიარულათ ვმგზავრობთ, რომ ამისთანა პატარა შემთხვევები სიცილის მეტს არას გამოიწვევს ხოლმე ჩვენს შორის. საზოგადოთ, ჩვენ, გიმნაზიელები, დაკარგვაზე ძალიან ყოჩაღები ვყოფილვართ: ერთიც არაფერი დარჩა, რომ ან კოვზი, ან ჭიქა, ან სარკე და ან სავარცხელი არ დაეკარგოს.

დღეს, როგორც იქნა ჩამოვედით მოსკოვში, დილის 8 საათზე მოვედით და არც შეგვისვენია, ისე გავიქეცით ყველაფრის დასათვალიერებლათ. ჩაი არ დაგვილევია, სადილი არ გვიჭამია; ერთხელაც არ გავჩერებულვართ, ისე გადარეულებივით დავრბივართ ქუჩებში. ხალხი აქაც გაკვირვებულია, ჩვენ რომ გვხედავს, აქაც უკან დაგვდევს და სულ „южные дѣти“-ს გვეძახიან. საუბედუროთ, ახლავე მივდივართ ნიჟნი-ნოვგოროდში. ერთი დღის მეტი აქ ვერ დავრჩით და, აბა, წარმოიდგინეთ, მოსკოვს როგორ დავათვალიერებდით ერთ დღეში? სასახლეები ვერ ვნახეთ, დაგვაგვიანდა, მაგიერათ ყველა უმთავრესი ქუჩები, კრემლი, მონუმენტები და ეკლესიები ერთიც არ გამოგვიშვია. ამდენი ახალი შთაბეჭდილებისაგან ყველას თავი აგვტკივდა, ჯერაც არ გამოვრკვეულვართ: ყველაფერზე უფრო მაცხოვრის საკრებულო ტაძარი მოგვეწონა.

ელიკო.

---

*
* *

გიგრძნია შენცა გულისა კვნესა
უმიზეზოთა ოხვრა ვაება,
როს შენს გარშემო ყველა იხარის
და შენ კი გტანჯავს კვლავ მწუხარება?

*
* *

გიგრძნია შენცა სულის კვეთება
მწარე ფიქრებით გაბრუებულსა,

როს მეგობართა ცხარე ბაასში
ენა დაგბმია გაჩუმებულსა?

*
* *

დაგიწყეველია შენც შაი ბედი,
კაცური გრძნობა კრულვით აღგესია,
როს შენი სატრფო ალერსის ნაცელათ
გველური შხამით წაგიპრწყია?

*
* *

დაგიწყეველია შენც მოგონება
აწ ჩასვენებულ ბედნიერების,
როს სიყვარული ეღიმებოდა
ტკბილსა ოცნებას შენი გონების?

*
* *

—საბრალისი ხარ, თუ არ გიგრძვნია
ოცნების ფრთებით, აღმამფრინავო,
და მეტათ კვალად საბრალისი ხარ,
თუ იტანჯები ჩემებრ, ბედშავო!

ს. ბაგდასარიანი.

საისტორიო მასალა № 3.

ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

წინდელი საქართველო-იმერეთის ღუბერნია, ოდესმე ყოველოვნებდა სწავლითა და ხელოვნებითა. ღვაწლი დიდებულთა აქაურთა ავქსონთა ხმა მაღლად ქოერდა კეთილ-გონიერებასა და გარდაიცემოდა საუკუნიდგან საუკუნეთა შინა, ჰსდიენიდა ს ბნეოესა უმეცრებისასა. საშუალ ბარბაროზთა მძვინვარებისა ქართველთა ჰქონდათ თავსი მოქალაქობა, საბჭიდრო განწყობა და შეუპრყვილებელი უწმინდესი რელიგია. აწ განათლებულნი საუკუნენი მოიწევენ: ევროპამან შემოსა შვენიერი მეწამული უმაღლესისა განვითარებისა და მიუჩრდილებელნი სხვენი განუტევნა ყოველთა კეთილთა სოფლისათა,—ყოველნი ველურნი ერნი წარემატნენ სწავლათა შინა, ხოლო საქართველო-იმერეთი, რომლისაცა განათლებაზე ყოველად მოწყალე ხელმწიფე ჩვენი არა ჰნიდებს არა-ვითარსა წარსაევებელსა; ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა ვითარსაცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესაცა უზრუნველობისა გამო ჩვენისა. აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, გინა შავთველნი, რუსთველნი და პეტრიწნი, სადღა ისმის ტკბილ-ხმოვანება ბესიკისა, სად გადმოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთის მეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი? ყოველივე დროთან მიჰფარა და სიბრძნეცა ქართველთა ვითა აჩრდილნი მათთანავე წარხდნენ; დაუტევეს მხოლოდ კვალი ჩვენისა მეხსიერებასა შინა მათისა მყოფობისა... აწ თუმცა ჰსჩანს ახალთა მოსწავლეთა შორის რაოდენიმე ნეშტი განათლებისა; მაგრამ თვინიერ ზნეობისა და საზოგადო სარგებლობის მზრუნველობისა იგიცა გარდაქცეულ არს სოფიზმის საფუძველისა ზედა; ამად აწინდელი ელვარე დრო ესე გვაქვს დამწარებული უმეცრებითა; სიბნელისა ფარდა გვიმრუშებს მხედველობასა და შეცდომა ჩვენი უმეტეს უნებლიეთი ვიდრე ნებსითი ყოველსავე მფარველობასა უაღესუტესისა ჩვენისა ერთმთავრისასა გვიხშავს; მიუცილებლათ არ იქმნების სასიამოვნო ჩვენისა ხელმწიფისათვისაც, რათა შთებოდეს ყოველივე მზრუნველობა წარსაგებული მისი ჩვენზედ უნაყოფოდ.

თვით ამ ღუბერნიაშიაც მხოლოდ ძირეულნი ქართველნი არიან უკან დარჩენილნი. სომეხნი: გრიგორიანთ სარწმუნოებისანი და კატოლიკნი მოურიდებლად მეცადინეობენ სწავლითა: პირველთ აქვსთ საკუთარი სასწავლებელი, სადაც ყოველნივე საგანნი გარდმოიცემიან სომხურსა ენასა ზედა; აქვსთ საკუთარი კონსტიტორია, საპატრიარხო საყდარი და აქვთ განვითარებული ვაჭრობა. ხოლო უკანასკნელნი არიან დამწყსილნი ქართულსა ენასა ზედა პატრთა მიერ კაპუცინის ორდენისათა. აქვსთ გალობანი იტალიანურს ნოტზე — ფსალმუნი შეწყობილნი მათს ორღანოზედ მათთა ყრმათა მიერ გრგვინვენ ღვთისადმი, თუმცა ყრმებრივისა მდგომარეობითა; მარამ მაინც ყრმანი ღაღადებენ ეკლესიათა შინა შემწეობითა ორღანთა ზედა... მხოლოდ ქართველნი ვართ მოკლებულნი ჩვენსა ყოველსავე აღმკობილებასა და სასარგებლოთა შემეცნებათ.—ერთი მხოლოდ უწმინდესი რელიღია ჩვენი (სარწმუნოება), რელიღია აღმოსავლეთისა ეკკლესიისა იპყრობს ჩვენსა ენასა სასწაულებითისა ძალითა თავისსავე ხარისხსა... შვენიერად ნათარგმნი საეკლესიო წერილნი, დამცველნი ჩვენის ენისა აღმკობილებისანი კვალად ვერ გაუთალხებია დროსა, ვინაიდგან არიან კლასიკებრის უკვდავებით თარგმნილნი.

განათლებულთა ქართველთაგან, რომელიმე გვამთა ამას წინათ დაუწყვიათ ქართულსა ენასა ზედა გამოცემა ჟურნალისა *) და უბედურთა შემთხვევათა

---

*) აქ უნდა იგულისხმებოდეს 1829—1832 წწ. გაზ. „თფილისის უწყებანი“.

რედ.

გამო, მაგრამ სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას არა ჰქონია წარმატება. წარვიდა მან დრომან. ახალსა მოქალაქეობასა განსანათლებლათ გულისა და გონებისა ესაჭიროების ახალი აზნაურებითი (კეთილშობილური?) საქმიანობა. სწავლათა და ხელოვნებათა შინა... ჟურნალი, ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილ მდგომარეობაში მოყვანებისა, ამისათვის აწცა სურსთ, რომელთამე გონიერთა ქართველთა რათა გამოსცენ ესე ვითარი ჟურნალი, რომლისათვისაც განუცხადებენ უპატივცემულესთ სწავლისა და ბუნების ენის მოყვარულთა გვამთა რათამცა ამ წინათ განზრახულებაში იქონიონ თვითოეულმა შეძლებისაებრ თვისი მონაწილეობა.

ჟურნალსა ამას სახელი ეწოდების სინათლე. გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდგან მამავალის წლისასა, თთვეში გამოვა თვითო წიგნი, რომელშიაც იქნებიან უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი ყოველთა საგანთათვის, ესე იგი: სამხედროთა და სამოქალაქოთა, ზნეთათვის, ვაჭრობისათვის, წყაროებისათვის გამდიდრებისა, შინაურთა ეკონომიათათვის და მმართველობისათვის ყრმათა და მამულთა, აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; აგრეთვე იქმნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი და თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდან გამოკრებილნი ნაწყვეტნი ძ ქართული ლიტერატურა (აღმკობილი პროზა), სტიხნი და ღარმონიათა ნოტნი: სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიოთა საგალობელთა. მეტოდა (მოძღვრება) სხვა-და-სხვა სწავლათა და ხელოვნებათა. ზეგარდაელით რაოდენნიმე ცნობანი ევროპიულთ სხვა-და-სხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და სწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა, მხატრობათა, მხაზველობათა და გამოქანდაკებათა და სხვათა.

ხელის მომწერელნი იქნებიან ორ გვარნი: წევრნი და შემთხვევითნი.—წევრნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ოთხასამდე—სწავლულნი: მცოდნენი ევროპიულთ ენათა ანუ ბუნებითისა ენისანი. ხოლო შემთხვევითი იქნება რამოდენიც უნდა იყოს. წევრთა ექმნებათ ნება, რათა ჟურნალისტების კანცელარიიდან მოითხოვონ რაოდენიცა ენებოთ ეკზემპლიარი ჟურნალთა და წიგნთა დასარიგებლად შემთხვევითთა ხელმომწერთა ჯეროვანის ფასით. და ეს (სათავნო) იქნების კუთვნილნი წევრთა, რომელთაც იმ სუმმით მხოლოდ შეუძლიათ შეადგინონ ვითარიმე შესაფერი სასარგებლო კამპანია; ექმნებათ ნება, რათა მისცენ ჟურნალისტსა თავიანთი ჰაზრი ჟურნალის წარმატებისათვის; წარმოუგზავნონ საკუთარი თავიანთი დათხზულნი ან თარგმნილნი ყოველსავე საგანსა ზედა ჟურნალში დასაბეჭდავათ, და ექმნებათ მოვალეობაცა შემწეობისა...

ხოლო ხელის მომწერთა შემთხვევითთა შეუძლიან იყიდონ მხოლოდ წიგნი—ჟურნალნი წევრთა, ანუ ჟურნალისთვიგან, როგორც მორიგდებიან, წარსაკითხავათ და შინ შესანახავს საუნჯეთ: უნდა კი მოაწერონ ხელი, საცნობელათ ჟურნალისტთა და ყოველთა წევრთა გამოცხადებაზედ, რომელიც ყოველ თვე დაბეჭდილი წარეგზავნება თვითეულსა წევრსა.

წევრნი ხელის მოწერისთანავე წარადგენენ ფულს თოთხმეტს მანათს და მიიღებენ ადგილობრივის მთავრობისა, ანუ კეთილშობილთ წინამძღოლელთაგან კვიტანციას.—ჟურნალისტნი ამ საზოგადო სასარგებლოს წინადგანზრახვის დამბრკოლებელს მიზეზს არასა ჰხედვენ, და უკეთუ ვითარისამე შემთხვევით დაშთება შეუსრულებელ, მაშინ ყოველთავე ხელის მომწერთა უმიზეზოთ დაუბრუნდებათ უკანვე ფული.

ვინაიდგან ესრეთს საზოგადოს სასარგებლოს საგანზედ ერთის მამულის შვილთა ვერა რა განასხვავებს, ამისათვის ჟურნალისტნი ყოველთა ქართველთა, როგორც ბერძენც სარწმუნოებისა, ისე კათოლიკთა და გრაგორიანთა და ყოველს სწავლას მოყვარულთა გვამთა პატივისცემით გამოუცხადებენ საგანსა ამას: ყოველთა შეუძლიანთ რათა იყვნენ, როგორც შემთხვევითნი ხელის მომწერნი, ეკრეთვე წევრნიცა.

კეთილშობილთ წინამძღვანელი პარუჩიკი თავადი ალექსანდრე ერისთავი, პრაპორჩიკი თ. როსტომ ერისთავი, პრაპორჩიკი თ. ივანე ერისთავი, შტაბის-კაპიტანი თ. გიორგი ერისთავი, პრაპორშიკი თავადი გრიგოლ მაჩაბელი. თ. მიხეილ ელისბარის ძე მაჩაბელი, თ. ელისბარ ერისთავი, პოდპორუჩიკი თ. დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი, კნეინა ქეთევან მაჩაბელოვისა, პოდპორუჩიკი გრიგოლ ნიკოლოზის ძე ციციანოვი, თ. ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილი, თ. დიმიტრი შაშეს ძე ერისთავი, პომოშნიკი იესეთის ოკრუჟნის ნაჩალნიკისა ზურაბ მორთულაძე, ქარუმ ზაქარიას ძე მაღალაშვილი, პრაპორშჩიკი ელიზბარ თულაევი, პროვინციალნი სეკრეტარი თ. ი. რატიევი, კოლეჟსკი სეკრეტარი თავადი დ-მიტრი მაღალოვი, პრაპოშჩიკი აზნაური სოლომონ ფურცელაძე, პარუჩიკი თ. სეიმონ შალიკოვი, პარუჩიკი თავადი ივანე აბაშიძე, თავადი დ-მიტრი აბაშიძე, კე-

როს მეგობართა ცხარე ბაასში
ენა დაგბმია გაჩუმებულსა?

* * *

დაგიწყევლია შენც შავი ბედი,
კაცური გრძნობა კრულვით ალგვსია,
როს შენი სატრფო ალერსის ნაცვლათ
გველური შხამით წაგიპილწია?

* * *

დაგიწყევლია შენც მოგონება
აწ ჩასვენებულ ბედნიერების,
როს სიყვარული ელიმებოდა
ტკბილსა ოცნებას შენი გონების?

* * *

—საბრალისი ხარ, თუ არ გიგრძნია
ოცნების ფრთებით, ალმამფრინავო,
და მეტათ კვალად საბრალისი ხარ,
თუ იტანჯები ჩემებრ, ბედშავო!

ს. ფავლიაშვილი.

საისტორიო მასალა № 3.

გამოცხადება

უწინდელი საქართველო-იმერეთის ღუბერნია, ოდესმე ყვავილოვნებდა სწავლითა და ხელოვნებითა. ღვაწლი დიდებულთა აქაურთა ავქსონთა ხმა მაღლად ჟღერდა კეთილ-გონიერებასა და გარდაიცემოდა საუკუნიდგან საუკუნეთა შინა, ჰსდევნიდა საზოგადოება უმეცრებისასა. საშუალ ბარბაროზთა მძვინვარებისა ქართველთა ჰქონდათ თვისი მოქალაქობა, სამხედრო განწყობა და შეუპრყვილებელი უწმინდესი რჯულისა. აწ განათლებულინი საუკუნენი მოიწივნენ: ევროპამან შემოსა შვენიერი მეწამული უმაღლესისა განვითარებისა და მიუჩრდილებელნი სხივნი განუტევნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა,—ყოველნი ველურნი ერნი წარემატნენ სწავლათა შინა, ხოლო საქართველო-იმერეთი, რომლისაცა განათლებაზე ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ჩვენი არა ჰრიდებს არა-ვითარსა წარსავებელსა; ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა ვითარსაცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესაცა უზრუნველობისა გამო ჩვენისა. აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, გინა შავთელნი, რუსთველნი და პეტრიწნი, სადღა ისმის ტკბილ-ხმოვანება ბესიკისა, სად გადმოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთის მეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი? ყოველივე დრომან მიჰფარა და სიბრძნეცა ქართველთა ვითა აჩრდილნი მათთანავე წარხდნენ; დაუტევეს მხოლოდ კვალი ჩვენისა მეხსიერებასა შინა მათისა მყოფობისა... აწ თუმცა ჰსჩანს ახალთა მოსწავლეთა შორის რაოდენიმე ნეშტი განათლებისა; მაგრამ თვინიერ ზნეობისა და საზოგადო სარგებლობის მზრუნველობისა იგიცა გარდაქცეულ არს სოფიზმის საფუძველისა ზედა; ამად აწინდელი ელვარე დრო ესე გვაქვს დამწარებული უმეცრებითა; სიბნელისა ფარდა გვიმრუშებს მხედველობასა და შეცდომა ჩვენი უმეტეს უნებლიეთი ვიდრე ნებსითი ყოველსავე მფარველობასა უავლუსტესისა ჩვენისა ერთმთავრისასა გვიხშავს; მიუცილებლათ არ იქმნების სასიამოვნო ჩვენისა ხელმწიფისათვისაც, რათა შთებოდეს ყოველივე მზრუნველობა წარსაგებული მისი ჩვენზედ უნაყოფოდ.

თვით ამ ღუბერნიაშიაც მხოლოდ ძირეულნი ქართველნი არიან უკან დარჩენილნი. სომეხნი: გრიგორიანთ სარწმუნოებისანი და კატოლიკნი მოურიდებლად მეცადინეობენ სწავლითა: პირველთ აქვსთ საკუთარი სასწავლებელი, სადაც ყოველნივე საგანნი გარდმოიცემიან სომხურსა ენასა ზედა; აქვსთ საკუთარი კონსტიტორია, საპატრიარხო საყდარი და აქვთ განვითარებული ვაჭრობა. ხოლო უკანასკნელნი არიან დამწყსილნი ქართულსა ენასა ზედა პატრთა მიერ კაპუცინის ორდენისათა. აქვსთ გალობანი იტალიანურს ნოტზე — ფსალმუნი შეწყობილნი მათს ორღანოზედ მათთა ყრმათა მიერ გრგვინვენ ღვთისადმი, თუმცა ყრმებრივისა მდგომარეობითა; მარამ მაინც ყრმანი ღაღადებენ ეკლესიათა შინა შემწეობითა ორღანთა ზედა... მხოლოდ ქართველნი ვართ მოკლებულნი ჩვენსა ყოველსავე ალმკობილებასა და სასარგებლოთა შემეცნებათ.—ერთი მხოლოდ უწმინდესი რჯულია ჩვენი (სარწმუნოება), რჯულია აღმოსავლეთისა ეკკლესიისა იპყრობს ჩვენსა ენასა სასწაულებითისა ძალითა თავისსავე ხარისხსა... შვენიერად ნათარგმნი საეკლესიო წერილნი, დამცველნი ჩვენის ენისა ალმკობილებისანი კვალად ვერ გაუთალხებია დროსა, ვინაიდგან არიან კლასიკებრის უკვდავებით თარგმნილნი.

განათლებულთა ქართველთაგან, რომელიმე გვამთა ამას წინათ დაუწყვიათ ქართულსა ენასა ზედა გამოცემა ჟურნალისა *) და უბედურთა შემთხვევათა

*) აქ უნდა იგულისხმებოდეს 1829—1832 წწ. გაზ. „თფილისის უწყებანი“.

რედ.

გამო, მაგრამ სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას არა ჰქონია წარმატება. წარვიდა მან დრომან. ახალსა მოქალაქეობასა განსანათლებლათ გულისა და გონებისა ესაჭიროების ახალი აზნაურებითი (კეთილშობილური?) საქმიანობა. სწავლათა და ხელოვნებათა შინა... ჟურნალი, ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილ მდგომარეობაში მოყვანებისა, ამისათვის აწცა სურსთ, რომელთამე გონიერთა ქართველთა რათა გამოსცენ ესე ვითარი ჟურნალი, რომლისათვისაც განუცხადებენ უპატივცემულესთ სწავლისა და ბუნების ენის მოყვარულთა გვაპთა რათამცა ამ წინათ განზრახულებაში იქონიონ თვითოეულმა შეძლებისაებრ თვისი მონაწილეობა.

ჟურნალსა ამას სახელი ეწოდების სინათ ლე. გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდგან მამავალის წლისასა, თთვეში გამოვა თვითო წიგნი, რომელშიაც იქნებიან უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი ყოველთა საგანთათვის, ესე იგი: სამხედროთა და სამოქალაქოთა, ზნეთათვის, ვაჭრობისათვის, წყაროებისათვის გამდიდრებისა, შინაურთა ეკონომიათათვის და მმართველობისათვის ყრმათა და მამულთა, აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; აგრეთვე იქმნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი და თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდან გამოკრებილნი ნაწყვეტნი ძ ქართული ლიტერატურა (აღმკობილი პროზა), სტიხნი და ღარმონიათა ნოტნი: სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიოთა საგალობელთა. მეტოდა (მოძღვრება) სხვა-და-სხვა სწავლათა და ხელოვნებათა. ზეგარდაელით რაოდენნიმე ცნობანი ევროპიულთ სხვა-და-სხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და სწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა, მხატრობათა, მხაზველობათა და გამოქანდაკებათა და სხვათა.

ხელის მომწერელნი იქნებიან ორ გვარნი: წევრნი და შემთხვევითნი.—წევრნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ოთხასამდე—სწავლულნი: მცოდნენი ევროპიულთ ენათა ანუ ბუნებითისა ენისანი. ხოლო შემთხვევითი იქნება რამოდენიც უნდა იყოს. წევრთა ექმნებათ ნება, რათა ჟურნალისტების კანცელარიიდან მოითხოვონ რაოდენიცა ენებოთ ეკზემპლიარი ჟურნალთა და წიგნთა დასარიგებლად შემთხვევითთა ხელმომწერთა ჯეროვანის ფასით. და ეს (სათავნო) იქნების კუთვნილნი წევრთა, რომელთაც იმ სუმმით მხოლოდ შეუძლიათ შეადგინონ ვითარიმე შესაფერი სასარგებლო კამპანია; ექმნებათ ნება, რათა მისცენ ჟურნალისტსა თავიანთი ჰაზრი ჟურნალის წარმატებისათვის; წარმოუგზავნონ საკუთარი თავიანთი დათხზულნი ან თარგმნილნი ყოველსაევ საგანსა ზედა ჟურნალში დასაბეჭდავათ, და ექმნებათ მოვალეობაცა შემწეობისა...

ხოლო ხელის მომწერთა შემთხვევითთა შეუძლიან იყიდონ მხოლოდ წიგნი—ჟურნალნი წევრთა, ანუ ჟურნალისთვიგან, როგორც მორიგდებიან, წარსაკითხავათ და შინ შესანახავს საუნჯეთ: უნდა კი მოაწერონ ხელი, საცნობელათ ჟურნალისტთა და ყოველთა წევრთა გამოცხადებაზედ, რომელიც ყოველ თვე დაბეჭდილი წარეგზავნება თვითეულსა წევრსა.

წევრნი ხელის მოწერისთანავე წარადგენენ ფულს თოთხმეტს მანათს და მიიღებენ ადგილობრიეის მთავრობისა, ანუ კეთილშობილთ წინამძღოლთაგან კვიტანციას.—ჟურნალისტნი ამ საზოგადო სასარგებლოს წინადგანზრახვის დამბრკოლებელს მიზეზს არასა ჰხედვენ, და უკეთუ ვითარისამე შემთხვევით დაშთება შეუსრულებელ, მაშინ ყოველთავე ხელის მომწერთა უმიზეზოთ დაუბრუნდებათ უკანვე ფული.

ვინაიდგან ესრეთს საზოგადოს სასარგებლოს საგანზედ ერთის მამულის შვილთა ვერა რა განასხვავებს, ამისათვის ჟურნალისტნი ყოველთა ქართველთა, როგორც ბერძენც სარწმუნოებისა, ისე კათოლიკთა და გრაგორიანთა და ყოველს სწავლას მოყვარულთა გვამთა პატივისცემით გამოუცხადებენ საგანსა ამას: ყოველთა შეუძლიანთ რათა იყვნენ, როგორც შემთხვევითნი ხელის მომწერნი, ეკრეთვე წევრნიცა.

კეთილშობილთ წინამძღვანელი პარუჩიკი თავადი ალექსანდრე ერისთავი, პრაპორჩიკი თ. როსტომ ერისთავი, პრაპორჩიკი თ. ივანე ერისთავი, შტაბის-კაპიტანი თ. გიორგი ერისთავი, პრაპორშიკი თავადი გრიგოლ მაჩაბელი. თ. მიხეილ ელისბარის ძე მაჩაბელი, თ. ელისბარ ერისთავი, პოდპორუჩიკი თ. დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი, კნეინა ქეთევან მაჩაბელოვისა, პოდპორუჩიკი გრიგოლ ნიკოლოზის ძე ციციანოვი, თ. ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილი, თ. დიმიტრი შანშეს ძე ერისთავი, პომოშნიკი იასეთის ოკრუჟნის ნაჩალნიკისა ზურაბ მორთულაძე, ქარუმ ზაქარიას ძე მაღალაშვილი, პრაპორშჩიკი ელიზბარ თულაევი, პროვინციალნი სეკრეტარი თ. ი. რატიევი, კოლეგსკი სეკრეტარი თავადი დ-მიტრი მაღალოვი, პრაპორშჩიკი აზნაური სოლომონ ფურცელაძე, პარუჩიკი თ. სეიმონ შალიკოვი, პარუჩიკი თავადი ივანე აბაშიძე, თავადი დ-მიტრი აბაშიძე, კე-

თილშობილი თედორე ქარუმიძე, აზნაური სოლომონ რჩეულოეი, კნეინა თინათინ (გვარი არა ჩანს), ელისაბედ ჯავახოვისა, თ. გივი ამილახვარი, პრაპორშჩიკი ლუარსაბ ზედგინიძე *).

*) ეს დოკუმენტი ბევრ ნაირათ საყურადღებოა. როგორც ჩანს, ერთი მხრით, ხელმოწერილი პირებისაგან, და მეორე მხრით, თვით ხელნაწერის შინაგანი და გარეგანი თვისებისაგან (მაგ., ენა, ქაღალდი და სხვ.), ეს „გამოცხადება" უნდა ეკუთვნოდეს დასხლოვებით ამ საუკუნის მეორმოცე წლებს. ამნაირათ, სანამ „ცისკარი" დაარსდებოდა, ბევრათ ამაზე უწინ ჩვენში დაუნახავთ დროგამოშვებითი გამოცემის საჭიროება და, როგორც ეს „გამოცხადება" გვეუბნება, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჟურნალ „სინათლის" გამოცემით უფიქრიათ. გამოცემის საქმის მოწყობა მეტის-მეტათ თავისებური უნდა ყოფილიყო, როგორც ამ დოკუმენტიდან ვღებულობთ, მაგრამ ეს გარემოება იმდენათ საინტერესო არ არის ჩვენთვის, რამდენათაც თვით ამ გამოცემის უწყება. როგორც ვიცით, ამ გამოცემის შესახებ ჩვენში არავითარი ცნობა არ შენახულა; ამიტომ ჩვენ აქვე „სინათლის" ხელის მომწერთა სიაც დავსტამბეთ, იმ განზრახვით, რომ, შეიძლება ამ პირთა ოჯახებში ან მათ მემკვიდრეთა შორის, დარჩენილა რაიმე ცნობა, რაც ყოველ შემთხვევაში ნათელს მოფენს ამ გამოცემის საქმეს, რასაც, როგორც ვიცი, განსორციელება არ ღირსებია. ვინ იცის, შეიძლება, „ცისკართანაც" ჰქონდეს მას რაიმე კავშირი. ყოველ შემთხვევაში ეს დოკუმენტი საყურადღებო მასალაა ჩვენი გონებითი განვითარების ისტორიისათვის. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდის მწერლობის ასპარეზზე მოღვაწეობდა ჩვენში განსაკუთრებით სასულიერო წოდება. „გამოცხადება" გვეუბნება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში სასულიერო წოდება ამ ასპარეზს უთმობს საზოგადოების საერო ნაწილს, რომელსაც სამხედრო-სათავად-აზნაურო წოდება უნდა დაერქვას. აი, რა ელემენტებისაგან შედგებოდა ჩვენი ინტელიგენცია აქამდის. დღეს კი იმათ სამუდამოთ გამოეთხარათ ძირი და ახალი ინტელიგენცია სულ სხვა წრიდან გამოდის.

რედ.

მთაო მაღალო!

(ლექსი პროზათ)

ვუძღვნი X-ს. . . . .

მთაო მაღალო, რას მიყურებ აგრე პირქუშათ! ნეტა რას ნიშნავს შენი აგრე გაამაყება? კი, მთათ ქცეულხარ, ბედისაგან გალაღებულო, და მე, გორაკი, აბა შენთან რას გამოვჩნდები! გიმზერ ძირიდან, გულ-ზვიადო, ტყით დაბურულო და გულ-ნატკენი მე ჩემ თავსა ვებუტბუტები: შენ თუ ცას ეტრფი და ამაყათ აგიდია მაღლა კისერი, რომ მის სივრცეში ვარსკვლავთ კრებულს თვალი ადევნო, მე მიწას ვუმზერ, მიწას შავსა, ოფლით მორწყულსა, სადაც მაშვრალი მუშა ხალხი კვნესის და გოდებს, სადაც სიამე, ნეტარება და პოეზია დღიურ ვარამსა ჯოჯოხეთათ გარდუქცევია. შენ თუ ღრუბლებსა ელვერსები და მზის სხივებით ალიონზე გულ-მკერდს იქარგავ, მე ჩემ მკერდიდან გამონადენ კამკამა წყაროს თავს დავდგომივარ და მას პირმშოსა, საამოსა ვეჭუკჭუკები: „გასწიე ციეო ანკარაო და გაგოგმანდი, სალამი უძღვენ ამწვანებულ ტყე-ველ-მინდორსა, ჩაირაკრაკე ბალახებში, მორწყე ყანები, პირი მობანე ყვავილებსა და ემბორე! იქ ერთ ყანაში ქვრივ-ობლისა ულამი მოჩანს, იქ მოგროვილან დაჩაგრულთა დამხმარებელნი, გლეხებს ნამგლები აულიათ, ატრიალებენ და დაქანცულნი გზისკენ მალ-მალ იყურებიან, წყაროვ მიხედე სალოდავებს ძლიერ წყურიათ!"

ნუ კი მიბღვერი, ჰოი მთაო, და ნურც დამცინი! პირს ნუ იბურავ მოსრიალე ჭრელი ღრუბლებით, გეყოფა კიდეც ცის-კამარის თვალიერება, აბა რას გარგებს მზის ქიშპობას, ვარსკვლავთ ცილობა. ნუ გეშინია! ბადრი მთვარეც შენთვის არ კვდება, შენც კარგათ იცი მას სამყარო ეარშიყება... მაშ, ერთხელ მაინც ბუმბერაზო ძირს, ძირს ჩამოდი და იმ ქვეყანათ, სადაც შენთვის ქება უძღვნიათ, მიმოიხედე და გაიგე, აბა რა ხდება?!

არსად გინახავს მოწუწუნე შენ დედაბერი? არსად გსმენია უსუსურთა მოთქმა-გოდება? არ შეგინიშნავს, როგორ იკვეხს ურცხვი ბაქია და ამავე დროს თვის ჩრდილისაც კი ეშინია? არსად გინახავს სრულად სალი შენ მათხოვარა, ვისაც ტყუილათ დაუკლაჯავს ხელი და ფეხი, და დახავსებულ ზარმაცს, საპყარს, მოდუნებულსა სურს სხვისი ოფლით მოიპოვოს „არსების პური", არც ის გინახავს ჭორიკანა როგორ ლაქლაქებს, თვის მეზობელსა, ავსა და კარგს, როგორრა ჰკიცხავს, პირში რომ გაქებს,

თაყვანსა გცემს და პირს უკან კი სხვის სასიამოთ თვის „მეგობარს“ სამარეს გითხრის?... მაშ, თუ გინახავს, მეტი არის, მე მოგახსენო, რომ ამგვარებით სავსე არის ჩვენი გარემო! მხოლოთ ეს მითხარ, თუ ყურს მიგდებ, მთაო მაღალო, ნეტა როდემდის ეიწუწუნებთ და თაყვანს ეცემთ უეიცობასა, ძმის გამყიდველ და ზარმაცობას, ნეტავ როდემდის ვანებიერებთ იმ გვარ არსებათ ვინც დღეს თაყვანს სცემს ერთ საგანსა, ხვალ კი „სანდალობს“. ნეტა როდემდის... მაგრამ კმარა... შენც კი მიხედები! ხოლო კვლავ გკითხავ: „ჩვენ გარემოს რა ეშველება?“

სუ! რა ხმა არის? შენ გაქებენ, შენ გადიდებენ? განა ვინაა? ღირსეულნი თუ მგლების ხროვა, რომელთაც დათვნი მოუძღვიან, მოაბოტებენ და მელიები ცბიერობით დამოყვრებიან! არ მიპასუხებ, გიხარია, მთაო მაღალო, რომ მკლების ხროვამ თაყვანი გცა, გაგაბატონა? თავს-ბრუ დაგასხა, გაგაყრიევა მელის ალერსმა და დათვის ტაშმა, მის დამქაშმა აგათამაშა? არ მიპასუხებ? ჩემი სიტყვა არც კი გსმენია? ნუ, ნუ ტყუედები, ნუ ეძლევი თავ-დავიწყებას!

ნურცა ამაყობ მით, რომ ელჩათ არწივი გიზის და ცის სივრცეში ანავარდებ, ამბებს ტყობილობ, ან რომ ირემი, ჯეირანი, ჯიხვი და არჩვი კლდიდან-კლდეზედა ელვასავით მსწრაფლათ ხტებიან და შენი ნებით შენს ტყეებში, ნაძვნარებში, იმალებიან... ნუ თუ არ იცი ირმის ბინავ და ორბის ბუდე, რომ „პირ-უტყეთ“ ძმობა, მეგობრობა არ გამოდგება?!

ნურც მით მოიტან თავს, რომ ღამით საბნათა გხურავს ღრუბლათ გცეული გაჭირვებულთ ოფლი და ცრემლი, განთიადისას სარკეთ ხმარობ ცისა ციაგსა და სავარცხლათა—ამომავალ მზისა სხივებსა, არმათ შეჭმული მუშის ოფლი ერთხელც იქნება ცაში იგრგვინავს, ძირს წამოვა შხაპუნა წვიმათ, სულ ჩამორეცხავს მაგ შენ კალთებს, გაანადგურებს და მუშის მტარვალს, მუშის მჩაგვრელს შიშის ზარს დაცემს.

ოხ, მთაო, მთაო, შორს გამდგარო, ვარსკვლავთ მრიცხველო, ყური დამიგდე, მე შენ გიხმობ და გეკითხები: ნუ თუ არ გესმის! კვლავ აჰყოლიხარ გულის თქმასა, ყალბ დიდებასა! მო, ხელი მომე, მიპასუხე და გამამხნევე, თორემ იკოდე მგლის მოყვრობა, დათვის ძმობა ბოლოს განანებს... დღე დაღამდება, ცა პირს შეჰკრავს, ქარი დაჰბერავს, მზე ქვესკნელს ჩავა, მთვარეც ვარსკვლავთ წინ დაილალავს და გულ-ნატკენი სადმე ღრუბლებს მოეფარება. მაშინ... მელები ეს ცბიერები დათვებს აცდენენ და მგლებთან ერთათ შენ დიდებას დაესევიან, წაგიბილწავენ სახსენებელს და შენ ქონებას ერთმანეთში გაიწილებენ.

ეს რომ არ მოხდეს... თუ დიდი ხარ, დიდი სულითაც, მო მხარი მომე უმცროს მოძმეს და გამამხნევე, დავკრათ კიჟინა, გავლომგულდეთ და გავმაცდეთ, მო მომეხმარე დავიფრინოთ კუდა-მელები, ყური დავაჭრათ პირ-მყრალ დათვებს და ლურჯა მგლები—არამზადები ჩამოვიცალოთ, სიცილ-ხარხარით გავისტუმროთ ჭორიკანები ტ ორ-პირებსა, მხდალ დიაცებსა, ჭკუა ვასწავლოთ. მაშ, მომეხმარე, მომეხმარე ნუ გულ-ზვიადობ, აბა მაშინ მოგიხდება მზისა გვირგვინი და ვარსკვლავ-მთვარე სასიამოთ შენ დაგენაცვლოს. მაშინ იქნები შენ საქები და სადიდები და თუ ღირს ვიქმენ შენ დიდებას ხალხით შექმნილსა ფიანდაზათა და კვარცხლ-ბეკათ მე გავუხდები.

მაგრამ... ვაი შენს მტერს, რაც შენ ჩემთვის ალარ გცალია?!...

თომაანთ კობა.

ᲒᲚᲔᲮᲜᲘ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲕ-ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ.

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲚᲐᲜ ᲡᲐᲛᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲚᲘ (Ქ. ᲐᲮᲐᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.) ᲒᲚᲔᲮᲘ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔᲑᲘ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲜᲐᲮᲐᲗ, ᲠᲐ ᲜᲐᲘᲠᲐᲗ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲔᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ; ᲐᲠᲐ. ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ: ᲘᲛᲐᲗ ᲐᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲗᲛᲔᲕᲔᲑᲘᲐᲗ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲛᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲐᲛ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲕᲘᲚᲐᲪᲐ ᲕᲐᲭᲐᲠᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚ-ᲙᲐᲠᲘ ᲬᲐᲣᲠᲗᲛᲔᲕᲘᲐ, ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲐᲚᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐᲗ, ᲛᲝᲣᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲐᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ, ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲗ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲕᲔᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲖᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲕᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲡᲕᲠᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲐᲠᲐᲖᲐ ᲛᲘᲣᲠᲛᲔᲕᲘᲐᲗ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲛᲔᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲚᲕᲔ ᲓᲐᲡᲐᲰᲣᲥᲠᲔᲑᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲨᲘᲜ ᲒᲐᲘᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲓᲔᲜ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲣᲚᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲐᲛᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲕᲔᲜ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐᲗ ᲐᲛ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ Ბ. Დ. Ზ. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ 10 ᲛᲐᲜ. ᲣᲩᲣᲥᲔᲑᲘᲐ. ᲠᲐᲙᲘ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲕᲔᲠᲐ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐᲗ-ᲠᲐ, �პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲒᲐᲥᲐᲜᲑᲣᲚᲐᲜ; ᲛᲘᲡᲣᲚᲐᲜ ᲘᲥ ᲣᲒᲠᲝᲨ-

უკაპეიკოთ, სამი ღამე მინდორში გაუთენებიათ მშიერ-მწყურვალთ. ერთ დილას, შიმშილს რომ ძლიერ შეუწუხებია საცოდავები, გამოსულან ნევის პროსპეკტზე, უყიდნიათ, თუ რამ ორი გროში დარჩენიათ, პური და მწვანე ხახვი, მოეკეცნათ ქართულათ ხიდის ყურში და შექცეოდენ. მათ-და იღბლათ სწორეთ ამ დროს გამოუვლია იქ ბ. სოლომონ გაბაშვილს თ. ბაბუნიძის ღვინის სარდაფის მმართველს; რასაკვირველია, გაბაშვილმა დანახვისათანავე თურმე იცნო ქართველი გლეხები, მივიდა მათთან, გამოელაპარაკა და მაშინვე შინ წაიყვანა, დააბინავა, გაამხნევა, პურღვინო უხვათ მიაწოდა და სასოწარკვეთილებაში ჩაცვივნული ზედგინიძეებს სიცოცხლე დაუბრუნა ამ ყოვლად პატიოსანმა ყმაწვილმა. მთელი ერთი კვირა მეტი ს. გაბაშვილმა თავისი ხარჯით შეინახა ზედგინიძეები, თხოვნა მიაცემინა, სადაც ჯერ იყო, გვაცნობა იმათი აქ ყოფნა და წადილი. ყველა აქ მყოფთ ქართველებს, ჩაგვაგონა, როგორმე მოგვეხერხებინა ზედგინიძეების უკან გაგზავნა სამშობლოში, გაგვამართვინა ხელის-მოწერა ქართველთა შორის, თვით მოგვცა თავისი მხნე და ქართველის სიკეთისთვის მუდამ მზა მხარი,—და ამ გვარათ ზედგინიძეები ს. გაბაშვილის მხნეობით დავაბრუნეთ პეტერბურგში მყოფმა ქართველებმა სამშობლოში.

დიდი მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე თავ. კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონი, რომელმაც 63 მან. გაღმოგვცა ზედგინიძეების სამშობლოში დასაბრუნებლათ; ბ. ლუკა დგებუაძე, რომლისაგანაც 10 მან. მივიღეთ, ბ. არჩილ ტარიელის ძე ფალავანდიშვილი, რომელმაც გარდა 5 მან. შემოწირულობისა, ტანისამოსი და ფეხთ-საცმელი მისცა საცოდავ გლეხებს.

ზემოხსენებულ პირთ გარდა შემდეგი შემოწირულება შემოვიდა ზედგინიძეების სასარგებლოთ: თავ. დიმიტრი ვასილის ძე მაყაშვილისაგან—3 მან. ბ. სანდრო ბელსკისაგან—3 მან., თავ გ. კ. ჩიჩუასაგან—2 მან. ® 50 კაპ., კნ. მელიტონ მიქელაძისაგან—2 მან. ® 50 კაპ., ქუთაისელი ურია იოსებ თოფლიშვილისაგან 2 მან., А. И. К. 1 მან. და ბ. შაქრო ონანოვისაგან 1 მან. სულ შეკროვდა 93 მან., რომლისაგანაც ბილეთებში ნოვოროსიისკამდის დაიხარჯა 40 მან. 80 კაპ., და დანარჩენი ფული 52 მან. ® 20 კაპ. თანასწორათ გაუნაწილეთ სამივეს,—თითოს ერგო 17 მან. ® 40 კაპ.

აგრეთვე დიდი მადლობის ღირსი არის პატივცემული თავ. ივანე ალექსანდრეს ძე ნაკაშიძე, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამ ზემო აღნიშნულ ზედგინიძეებზე: საწყლებს, როგორც ფულით აქ ყოფნაში, აგრეთვე საქმით ფრიად დაეხმარა.

ამ წერილთან ერთათ ვგზავნით ზედგინიძეების ხელნაწერ წერილსაც. პეტერბურგში მცხოვრები ქართველები.

—

ამავე ზედგინიძეებზე იწერებიან ნოვოროსსიისკიდან შემდეგს: თიბათვის ოცში აქ გვესტუმრა სამი ძმა ქართველები, გვარათ ზედგინიძეები, მცხოვრები სოფ. ბარალეთში, (ახალ-ქალაქის მაზრა), რომლებიც ყოფილიყვნენ პეტერბურგში ხელმწიფესთან უქვეშევრდომესი თხოვნის მისართმევათ. მიზეზი წასვლისა ყოფილა შემდეგი: ვიღაც ვაჭარს, რომელსაც მთელი სოფელი აუწიოკებია თავის ბოროტ-მოქმედებით, ხელი მოუწერინებია რაღაც ქაღალდზე, როგორც ზედგინიძეები ამბობენ და ცოტა ხნის შემდეგ მთელი ქონებისაგან ხელი აულებინებია. ასე გამოუცლია ყველაფერი სარჩო-საბადებელი ამ საწყალი ხალხისათვის. ბოლოს უფიქრიათ და სხვისი რჩევით წასულან პეტერბურგში. მაგრამ ხელმწიფემდე ვერ მიუტანებიათ და ერთი ღამე საპყრობილეშიაც გაუთევიათ; გზის ფულები შემოლევიათ და იქაური ქართველების წყალობით, როგორც იყო, მოაწიეს ნოვოროსისკამდე, სადაც დიდი დახმარება ამოუჩინა აქაურმა ქართველობამ და გაისტუმრა თავის ქვეყანაში. ამ საწყლებისთვის ახლა დახშულია ყველა კარები ცხოვრებისა; საჭიროა, რომ ბარალეთის სოფლის საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ საწყლებს.

ერთი მუშათაგანი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

„კვალის" ფოსტა.

თ—ში ბ. ყ—ბს. თქვენი წერილი „კრიტიკული წვრილმანების" დასასრული სხვა-და-სხვა მიზეზის გამო აღარ დაიბეჭდება.

სახლობა გარდაცვალებულის ლუარსაბ გრიგოლის ძის კლდიაშვილისა ამით აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია სოფელს სიმონეთში ოთხშაბათს 22 აგვისტოს.

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Августа 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41.